პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 244 (4238)

1970 წ. 15 დეკემბერი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი

პირველი საფეხურის მიჯნასთან



დნეპროპეტროვსკსა და კაუნასში დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი საფეხურის მატჩები.

დნეპროპეტროვსკში წარმატებით იასპარეზა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა რიგის ტტტ-მ. მან ყველა შეხვედრა მოიგო და ხელთ იგდო ლიდერობა. ერთი დაკარგული ქულით (ტტტ-სთან). II ადგილზეა ვილნიუსის „კიბირკშტისი“.

გაცილებით უფრო შეუპოვარი იყო შეხვედრები კაუნასის ჯგუფში. აქ ტურნირის ბოლო დღეს მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა“ დამატებით დროში ფარ-ხმალი დააყრევინა მოსკოვის „დინამოს“ — 65:63 (ძირითადი დრო — 57:57). ლენინგრადის „სპარტაკმა“ მოუგო კიევის „დინამოს“ (79:60), ხოლო მოსკოვის „სპარტაკმა“ — კაუნასის „პოლიტექნიკას“ (73:69).

გათამაშების ცხრილები პირველი ეტაპის შემდეგ ასე გამოიყურება:

დნეპროპეტროვსკის ჯგუფი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ტტტ (რიგა)	5	5	0	5
„კიბირკშტისი“ (ვილნიუსი)	5	4	1	4
„სერპ ი მოლოტი“ (მოსკოვი)	5	2	3	2
„სტალი“ (დნეპროპეტროვსკი)	5	2	3	2
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	5	2	3	2
„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)	5	0	5	0

კაუნასის ჯგუფი

„სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი)	5	4	1	4
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	5	4	1	4
„დინამო“ (მოსკოვი)	5	4	1	4
„დინამო“ (კიევი)	5	2	3	2
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	5	1	4	1
„პოლიტექნიკა“ (კაუნასი)	5	0	5	0

* * *

სურათზე: რიგის ტტტ-სა და დნეპროპეტროვსკის „სტალის“ შეხვედრის მომენტი.

ლ. ბელიაევის ფოტო.

ვალდებულება შესრულდა

„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს — ეროვნულ-ტერიტორიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის და 1 დეკემბრისთვის გადაჭარბებით გაანალდეს თანრიგოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებანი.

სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმა შესრულდა 100 პროცენტით (მომზადდა 8 ოსტატი). სპორტის ოსტატობის კანდიდატთა მომზადება გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა, ამ თანრიგის ნორმატივები კი 13 კაცმა ჩააბარა.

160 პირველთანრიგოსნის მაგიერ მომზადდა 204, სხვა თანრიგების 12.900 სპორტსმენის ნაცვლად — 21.479.

ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა მუშთ, „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ და „სსრკ ტურისტის“ ნიშნოსანთა, აგრეთვე, საზოგადოებრივი კადრების მომზადების ვალდებულებანი.

თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადება გრძელდება.

ს. მეგრელიშვილი,
„შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

შვიდი პრიზიორი!

რიბინსკში დამთავრდა ძიუდოისტთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრება ოლიმპიური ნაკრების საყრდენ პუნქტებს შორის. როგორც ცნობილია, ტურნირში საქართველო 2 გუნდით იყო წარმოდგენილი: გორელი და თბილისელი ძიუდოისტები ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ. ამ უკანასკნელთ შემადგენლობაში არ ჰყავდათ გ. ონაშვილი და ფ. მარტყოფლიშვილი, რამაც, ცხადია, გუნდი შესამჩნევად დაასუსტა.

და მაინც, საქართველოს სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს. I ადგილები დაიკავეს გ. გოგოლაურმა (თბილისი) და შ. ჩოჩიშვილმა (გორი). II სპარიზო ადგილი წილად ხვდა თბილისელ რ. ოდიშელიძეს. III ადგილები დაისაკუთრეს: ს. ქარელმა, რ. ხარშილაძემ (ორივე — თბილისი), ჯ. ხორბალაძემ და გ. თანდელოვმა (ორივე — გორი).

გუნდურ ჩათვლაში გორელებს II ადგილი ხვდათ, თბილისელებს კი III.

„ალმის ღირსება“ — კიეველებს

ყაზახეთის ახალგაზრდულ გაზეთ „ლენინსკაია სმენას“ დაწესებული აქვს პრიზი „ალმის ღირსება“. იგი გადაეცემა გუნდს, რომელიც ყველაზე მეტ ფეხბურთელს მიაგზავნის საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ისევე, როგორც შარშან, წლეულსაც პრიზის მფლობელი გახდა კიევის „დინამო“, რომელსაც 512 ქულა აქვს. მოსკოვის არმიელებმა სეზონის ფინიშზე გაუსწრეს თბილისის „დინამოს“ (389 ქულა) და 408 ქულა დააგროვეს.

სულ სსრ კავშირის ნაკრებმა 1970 წელს ჩაატარა 27 საერთაშორისო ამხანაგური და ოფიციალური კალენდარული მატჩი. ყველაზე მეტჯერ ნაკრებში ითამაშა კიევის „დინამოს“ ნახევარმცველმა ვ. მუნტიანმა (26) და 130 ქულა მოუტანა თავის კოლექტივს.



სტუდენტები — ჩემპიონები

გორი. ქალაქის სტადიონი. 12 დეკემბერი.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1 (0:1).

ფიზკულტურის ინსტიტუტი: ბერიკაშვილი, სანოძე, პოზიუკი, ვაწაძე, ოგანეზოვი, კვარაცხელია, ახვლედიანი (ანდრიაძე), ბერდნიკოვი, ლომიძე, ოდიშარია, მელიქიძე.

„მეტალურგი“: გეგეშიძე, სტურუა, ალხაზიშვილი, კვინიკაძე, მაჩიტაძე (წოწონავა), ჭინჭინაძე, ტოგონიძე, სხილაძე, გლინიანოვი, ცინცაძე, კიკნაველიძე (ჩუბინიძე).

მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

გადამწყვეტ, დამატებით მატჩს, რომელსაც საქართველოს ჩემპიონი უნდა გამოევლინა, საკმაოდ ცუდი ამინდი დაესწრო. სათამაშო მინდორი ატალახდა და დამძიმდა. მიუხედავად ამისა, ჩემპიონობის პრეტენდენტებმა თავიდანვე მთელი თავიანთი ძალები ჩაბეს ბრძოლაში და პირველივე წუთებიდან სრული სიძლიერით ამოქმედდნენ. სტუდენტთა უპირატესობა ტექნიკაში, სისწრაფეში დასაწყისშივე შესამჩნევი იყო, მაგრამ „მეტალურგი“ ტოლს არაფერში უდებდა მეტოქეს და ეფექტურად ახორციელებდა მოულოდნელ კონტრშეტევებს. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევისას სხილაძე გავიდა მარჯვენა ფრთაზე, კარგად მოაწოდა ცენტრში და გლინიანოვმა თავით ზუსტად გაგზავნა ბურთი ზედა ძელს ქვეშ — 1:0.

დაწინაურება ასეთ მატჩში დიდ უპირატესობას უქმნის გუნდს, მაგრამ მეტალურგების თამაშში მაშინვე შესამჩნევი შეიქნა ზედმეტი სიფრთხილე. გუნდი ცდილობდა შეენარჩუნებინა ეს ანგარიში და ამ ცდაში საერთო უპირატესობა მეტოქეს დაუთმო. ერთ-ერთ მომენტში სასიფათო პოზიციაში გავიდა მელიქიძე, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ სტუდენტთა გუნდში ახვლედიანის ნაცვლად ანდრიაძე გამოვიდა. იგი მაშინვე ჩაერთო თამაშში, შეასრულა ღრმა რეიდი და საჯარიმო მოედანს მიღწეულმა ძლიერად დაარტყა კარში — 1:1.

მალე „მეტალურგის“ კარი კიდევ ერთხელ იხსნა ძელმა ლომიძის დარტყმის შემდეგ, მაგრამ თბილისელებმა მაინც მიაღწიეს საწადელს: 78-ე წუთზე მელიქიძემ ზუსტად დაარტყა და მეტალურგების კარში მეორე ბურთი აღმოჩნდა.

ეს ანგარიში მატჩის ბოლომდე აღარ შეცვლილა, თუმცა ზესტაფონელთა ერთ-ერთი გარდვევა კინაღამ გოლით დამთავრდა.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელებმა (მწვრთნელი კ. მეხსი) დამსახურებულად მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სიახლენი აღრიცხვა-ანგარიშგებაში

ამას წინათ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდა რესპუბლიკის ფიზკულტურულ მუშაკთა თათბირ-სემინარი, რომელიც აღრიცხვა-ანგარიშგებაში ახალი სტატისტიკური ფორმების შემოღებას მიეძღვნა.

თათბირ-სემინარის მიზანი და ამოცანა შეკრებილთ გააცნო რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობის, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის, კადრებისა და სპორტის პროპაგანდის განყოფილების უფროსმა ნ. სომხიშვილმა.

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსმა მასწავლებელმა ა. დოკვაძემ ისაუბრა ფიზკულტურასა და სპორტში სახელმწიფოებრივი სტატისტიკის სრულყოფის მნიშვნელოვან საკითხებზე და დაწვრილებით განმარტა აღრიცხვა-ანგარიშგების თითოეული სტატისტიკური ფორმის შევსების წესი.

ადგილებზე აღრიცხვიანობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ შეკრებილთ ესაუბრნენ სპორტული საზოგადოებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები.

აქვე წაიკითხეს ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის ბრძანება გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ მასობრივად გავრცელებისთვის რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეთა დაჯილდოების შესახებ.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების უახლოესი ამოცანების შესახებ თათბირ-სემინარზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

თ. გაჩეჩილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება

მომავალს იმედით შევცქერით

საქართველოს მოცურავეებმა სეზონი დაამთავრეს და ხანმოკლე შესვენებას აწყობენ, რათა შემდეგ გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადებას. ახლა უკვე შეიძლება ვიმსჯელოთ წლევანდელ შეჯიბრებებში მოპოვებულ შედეგებზე. მომავალ სპარტაკიადაში საქართველოს სპორტსმენების პერსპექტივებზე, მზადების ხელშემშლელ მიზეზებზე „ლელოს“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელი ცურვაში, სპორტის ოსტატი ვ. გოლიაშვილი. აი, ეს ინტერვიუ.

● **საქართველოს მოცურავეებმა, თინათინ ლეკვეიშვილის გარდა, შარშანდელ სეზონში თავი ვერაფრით გამოიჩინეს. რა ღონისძიებები დაისახა მდგომარეობის გამოსწორებისთვის?**

— შარშანდელი შედეგები მართლაც არ იყო სახარბიელო. დასამალი როდია, რომ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ პრინციპულობა ვერ გამოიჩინა მოცურავეთა შორის დისციპლინის განმტკიცების მიზნით. იყო რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. მწვრთნელები გულისხმიერად არ ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას. სპორტსმენთა შედეგები არ იზრდებოდა, ყალბისმქნელთა მაქინაციებით კი საუკეთესო ათეულთა საშუალო მაჩვენებლები საოცრად მატულობდა. ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს ყოველივე ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ნაკრების ძველი ხელმძღვანელობა გათავისუფლეს და უფროსი მწვრთნელის ადგილზე დაებრუნეს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. იოაკიმიდი, რომელსაც სპარტაკიადისთვის მზადებაში კონკრეტული ამოცანები დაუსახეს.

● **როგორ გაართვა თავი მოვალეობას რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრების ახალმა ხელმძღვანელობამ?**

— გადაგრით რაიმეს თქმა ჯერჯერობით არ შეიძლება. ამოცანა შესრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ ჩვენი მოცურავეები სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში კარგად იასპარეზებენ. ისე კი, ნაკრების ახალ ხელმძღვანელობას, რასაკვირველია, ვერ ვუსაყვედურებთ. რესპუბლიკურ ჩემპიონატში, რომელიც ქუთაისის „განთიადის“ აუზში გაიმართა, საქართველოს 25 ახალი რეკორდი დამყარდა, გამოჩნდა რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენიც.

● **ვინ მიიქცია თქვენი უურადღება ქუთაისის ჩემპიონატში, მომავალში მათგან ვისი იმედი შეიძლება ვიქონიოთ?**

— პირველ ყოვლისა, ესენი არიან ბათუმელები თინათინ დოლიძე და ვიქტორ კრასკო. დოლიძემ ქუთაისში 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურაში გაუმჯობესა საქართველოს ერთ-ერთი ძველი რეკორდი, კრასკო კი 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში დაეუფლა რესპუბლიკის რეკორდს. ვიქტორმა 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვაში ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდიც დაამყარა — ვოლჟსკელი ლ. დობროსკოკინის ძველ მიღწევას 0.5 წამი ჩამოაჭრა, თანაც, სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა — 2.14,0. ბათუმელმა მ. გორბუნოვამ კარგი შედეგები მოიპოვა ბატერფლაით ცურვაში — ორი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა.

● **ლეკვეიშვილი ხომ არ გამოგრჩათ?**

— არა. თინათინმა ქუთაისში 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი (2.29,6) დაამყარა. მაგრამ იგი, მოგეხსენებათ, რეკომენდაციებს აღარ საჭიროებს.

● **რა შანსები გვაქვს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში?**

— წლევანდელი საკავშირო ტურნირების გამართვის სისტემა საგანგებო შეჯიბრებებს ჩატარების სისტემას უახლოვდებოდა. წლეულს საკავშირო პირველობის ფინალის მონაწილენი რესპუბლიკურ ტურნირებში ნაჩვენები შედეგების, აგრეთვე, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზის გათამაშებაში მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით შეარჩიეს. საბოლოოდ, საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება საქართველოს ექვსმა სპორტსმენმა (ლეკვეიშვილი, ა. იოაკიმიდი, ლ. მარღანია, გ. ჰეტტოიანი, კრასკო და ი. კირდიანოვი) მოიპოვა. გაისადაც ასე იქნება — სპორტსმენებს ხალხთა სპარტაკიადაში მედლებისთვის ბრძოლის უფლებას რესპუბლიკურ ჩემპიონატებში ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით მისცემენ.

● **რა შედეგებს მივიღებთ, თუ წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში საქართველოს მოცურავეების მაჩვენებლებს სასპარტაკიადო ქულებით შევცვლით? და, საერთოდ, რა პერსპექტივები ისახება?**

— ლეკვეიშვილმა, მაგალითად, წლეულს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს 2 მედალი მოიხვეჭა, ესე იგი, 25 ქულა მიიღო. კრასკომ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში II ადგილი დაიკავა, ეს კი 11 ქულას იძლევა. იოაკიმიდი 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში VI ადგილზე გავიდა და გუნდს 5 ქულა მოუტანა. სულ საქართველოს გუნდმა 42 ქულით V ადგილი დაიპაკუთრა. ჩვენს მოცურავეებს მხოლოდ მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინისა და ლენინგრადის კოლექტივებმა აჯობეს. შარშან კი ჩვენი რესპუბლიკის გუნდი IX ადგილზე იყო. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გუნდის შესაძლებლობა გაცილებით მეტია.

● **რა გაძლევთ ასეთი ოპტიმისტური განცხადების საფუძველს?**

— სსრ კავშირის ჩემპიონატის შემდეგ გამართულ შეჯიბრებებში ჩვენი მოცურავეების უკეთესი მაჩვენებლები.

● **კერძოდ?**

— ავიღოთ, თუნდაც, ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ბარსელონაში გაიმართა. ჯერ ერთი, ლეკვეიშვილმა იქ სამი მედალი მოიპოვა — 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ოქროს ჯილდო მიიღო და კონტინენტის რეკორდიც დაამყარა, 200 მეტრზე ცურვასა და ესტაფეტაში კი ვერცხლის მედლები დაისაკუთრა. ამას გარდა, ორივე დისტანციაზე სსრ კავშირის რეკორდების ავტორი გახდა. ეს გვაფიქრებინებს, რომ თინათინს უახლოეს ორსამ წელიწადს სსრ კავშირში ღირსეული მეტოქე არ უნდა გამოუჩნდეს. მართალია, უკრაინელი ლ. კომაროვა ნიჭიერი გოგონაა, მაგრამ, ჩემი აზრით, ლეკვეიშვილს ვერ გაუტოლდება; მეორეც, კრასკომ თავის თავს ეადაპტირა. ბარსელონაში (ეს მისი პირველი საერთაშორისო ტურნირი იყო) იგი სამჯერ გამოვიდა სტარტზე. ესტაფეტაში ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა, 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში კი VI და VIII ადგილები დაიკავა. ზემოთქმულს დავუმატოთ, რომ ლეკვეიშვილსა და კრასკოს 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში სსრ კავშირის 10 საუკეთესო მოცურავის სიაში პირველი ადგილები უკავიათ.

● **საქართველოდან კიდევ ვინ დაიმკვიდრა ადგილი უძლიერესთა ათეულში?**

— მოზრდილებიდან — იოაკიმიდმ, იუნიორებიდან — თ. ხუბულავილმა, ვ. გონჩაროვმა, ა. იევლევმა, ა. იორდანიშვილმა, ვ. გრიგორაშჩენკომ, გორბუნოვამ.

● **როგორ ზრუნავენ სპორტსაზოგადოებებში ცურვის განვითარებისთვის?**

— „დინამოსა“ და „განთიადს“ ვერაფერს დავემდურებით, რადგან ჩვენი ნაკრები შევსებას ძირითადად მათგან იღებს. დამამაყოფილებლად მუშაობს „შრომითი რეზერვები“, „სპარტაკი“ გამოცოცხლდა. მაგრამ სხვა საზოგადოებებზე ამას ვერ ვიტყვით. განსაკუთრებით „ბურევესტნიკისა“ და „ლოკომოტივის“ უმოქმედობა გვაკვირვებს. ცურვა სწორედ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა იყოს სათანადოდ განვითარებული. წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაც მოწმდებოდა. მაშინ პირველობა დარჩა მოსკოვის უნივერსიტეტს, რომელმაც 87 ქულა მოგროვა. საქართველოდან საუკეთესო იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელმაც 5 ქულით (იოაკიმიდის წყალობით) XVIII-XX ადგილები გაიყო.

● **კიდევ რა აფერხებს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებას?**

— ბაზების სიმცირე. მართალია, ამ მხრივ მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესება იგრძნობა. მაგალითად, ქუთაისში „განთიადის“ შესანიშნავი აუზი აიგო. კარგი აუზები გვაქვს ტყიბულში, ბათუმში, ბიჭვინთაში. სოხუმში დამთავრდა „განთიადის“ წყალჯამარდობის სადგურის აგება, თბილისში მწყობრში ჩადგა განათლების განყოფილების აუზი... მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. დიდად გვაფერხებს ის ამბავი, რომ თბილისში სანაპიროზე ოდესღაც არსებული აუზის სანაცვლო ბაზის აგება ძალიან ჭიანურდება, სოხუმში დოსაფის აუზის რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობას საშვილი არ დაადგა, რუსთავის აუზი მეათე წელია შენდება. ამას გარდა, ქუთაისში განათლების განყოფილების აუზის მშენებლობა ბოლომდე ვერ მიიყვანეს, რესპუბლიკის არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს საცურაო ბაზა არ გააჩნია. საქართველოს მსხვილ საწარმოთა უმეტესობაც ასეთივე მდგომარეობაშია. უნდა ვუსაყვედუროთ მწვრთნელთა უმრავლესობასაც, განსაკუთრებით მათ, ვინც ჯერ კიდევ ძველი მეთოდებით მუშაობს. დღეს ცურვა ხანგრძლივ, ინტენსიურ, მეცნიერულად დასაბუთებულ ვარჯიშს მოითხოვს. სპორტის ამ სახეობაში საერთო ფიზიკურ მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს. სპორტსმენთა დაოსტატებისთვის საჭიროა შეჯიბრებების ხშირად გამართვა. ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის გუნდების ტურნირი აღარ გვყოფნის. უფრო ძლიერი მეტოქეები გვჭირდება. დაე, წავაგოთ. სამაგიეროდ, სპორტსმენები ბევრს ისწავლიან.

● **რას გვეტყვით ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების მომავალ ეტაპზე?**

— წლევანდელ მუშაობაზე უკვე ვალაპარაკე. დავუმატებ მხოლოდ, რომ გუნდის მზადებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ბიჭვინთის კურორტების ვაერთიანების დირექტორმა ე. კაპბამ და მისმა მოადგილემ რ. კოპალიანმა, რომლებმაც ნაკრებს წვრთნის ყველა პირობა შეუქმნეს. ბიჭვინთაში ჩატარებულმა წვრთნამ კარგი შედეგი მოგვცა. ვფიქრობთ, სპარტაკიადის გადამწყვეტი ბრძოლებისთვისაც იქ მოვემზადებით. საკავშირო სპარტაკიადამდე რამდენიმე შეჯიბრებაში მონაწილეობა დავიგეგმეთ, ოღონდ ისე, რომ ფინალურ სტარტებს სპორტსმენები ვადაღლილი კი არა, ხალისით შეხვდნენ. არ დაგიმალავთ, ხალხთა სპარტაკიადაში, სულ ცოტა, 4 უმაღლესი ხარისხის მედლის მოპოვება გვაქვს განზრახული.

• • •

სურათზე: თ. ლეკვეიშვილი.

ბ. ქვათაძის ფოტო.

ოთხ ჯგუფად

ამას წინათ ცხაკაიას დოსაფისა და ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარეს რაიონის პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ასპარეზობა, რომელშიც 40 გუნდი მონაწილეობდა, ოთხ ჯგუფად ჩატარდა. ჯგუფებში I ადგილები მოიპოვეს ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, პურპროდუქტების პუნქტის, ძველსენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენლებმა. საბოლოო მაჩვენებლების მიხედვით საპრიზო გუნდური ადგილები ასე განაწილდა: ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობა, პურპროდუქტების პუნქტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

პირად პირველობაში 200 სპორტსმენი ასპარეზობდა. გამარჯვება წილად ხვდა საქმთავარენერგოს ცხაკაიას ელექტრების გუნდის წევრს კ. გვალიას. II ადგილზე გავიდა ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენელი ო. კუჭავა, III — პურპროდუქტების პუნქტის სპორტსმენი პ. მხეიძე.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).
ცხაკაია.

ოლიმპიადა ტურიზმში

✦ **წულუკიძე**

ჩატარდა რაიონის პირველობა მძლეოსნობაში, რომელიც საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კოსმპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 12 საშუალო სკოლის 150 მოსწავლე. საერთო გუნდურ I ადგილზე გავიდა სოფ. დედალაურის საშუალო სკოლის კოლექტივი (ფიზიოზრდის მასწავლებელი ლ. ჩხენკელი). II ადგილი დაიკავეს სოფ. ივანდიდის მოსწავლეებმა, III — სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა.

• • •

რაიონული ცენტრის ქუჩებში ჩატარდა მძლეოსნური ეტაფეტა — ქალაქის რგოლი (1880 მ). ტრასა 8 ეტაპად იყო დაყოფილი. სარბიელზე გამოვიდა 10 კოლექტივის 80 სპორტსმენი. ფინიშთან პირველი იყო განათლების განყოფილების პირველი გუნდი — 1.22,0. II ადგილზე გავიდნენ სოფ. ივანდიდის მოსწავლეები, III — სოფ. მათხოჯის საშუალო სკოლის წარმომადგენლები. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა საქართველოს ალკა წულუკიძის რაიკომის დაწესებული გარდამავალი თასი და პირველი ხარისხის დიპლომი.

ტ. ჯაფარიძე,
ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი.

„ლელო“ ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

ჯილდოს ღირსეული მფლობელი

წარსულ შაბათს თბილისის სპორტის სახახლეში გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ფინალური შეხვედრები ახე დამთავრდა:

მატჩი VII-VIII ადგილებისთვის

ისლანდია — ჩეხოსლოვაკია (ახალგაზრდული) 18:17 (8:8).

ისლანდია: კარლსონი, ს. ჯონსონი (გაიტანა 1 გოლი), კრისტიანსონი (3), ი. მაგნუსონი (3), სვავარსონი, ჰალსტენსონი II (3), ბ. ჯონსონი, მარკუსონი (2), სიგსტენსონი (2), ჰალსტენსონი I (3), ფინბოგარსონი, სიმონარსონი (1), სკულასონი.

ჩეხოსლოვაკია: ლუკაჩი, გოგოლი (3), დივოკა I, ფურკა (1), ხორვატი, დვორჩაკი (1), დივოკა II (1), ტომეკი (2), პროფანტი, კატუშაკი (3), მიკეში (3), ნეუმანი (3).

მსაჯები — მ. ლიპოვი (სსრ კავშირი) და ო. შმიდტი (გფრ).

მატჩი V-VI ადგილებისთვის

უკრაინა — სსრ კავშირი 22:20 (13:10).

უკრაინა: ტომინი, ლაგუტინი (2), გორიაჩინი (3), არტამონოვი (3), შულგა (1), ტიშჩენკო, შკარლატი (4), კოსინი, გორელიკი (3), ივანოვი (6).

სსრ კავშირი: სემიონოვი, იშჩენკო, ჩურსინი, მაქსიმოვი (4), ილინი (2), შაიუკი (1), კლიმოვი (1), ლუცენკო (5), მახორინი (1), ზდორენკო (1), ოგანეზოვი (5).

მსაჯები — გ. ძაგანია და მ. ლიპოვი (ორივე — სსრ კავშირი).

მატჩი III-IV ადგილებისთვის

გფრ — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 21:19 (10:11).

გფრ: ბოდე, ბრაუნი, გინკელმანი, ჰარიეზი (3), დანგე (3), მიოლერი, მუნგი (3), როგე (1), ნოიჰაუზი (1), შმიდტი (10).

სსრ კავშირი (ახალგაზრდული): სიჩოვი, ვილიუმსონი, ბუზუკლოვი (3), ანტონოვი, გასი (7), რატნიკოვი (1), კუიავსკი (1), ბ. გულბისი (2), კოლოტოვი (2), პილიპარკი (2), ჩიკალაევი (1).

მსაჯები — ნ. სუსლოვი და ი. სმოლენგო (ორივე — სსრ კავშირი).

მატჩი I-II ადგილებისთვის

იუგოსლავია — საქართველო 29:18 (15:6).

იუგოსლავია: ჟივკოვიჩი, დიზდარი (1), პრიბანიჩი (6), კარალიჩი (3), ლაზარევიჩი (2), მილკოვიჩი, ლავრნიჩი (9), ხორვატი (6), მილიაკი (1), პავკოვიჩი (1).

საქართველო: ხუციშვილი (1), რუხაძე, ელსეულიძე (2), ფხაკაძე (5), ბუნაძე (2), გ. ბერიაშვილი (4), აბესაძე (3), ცერცვაძე (1), სხიერელი, დვალიშვილი, ვ. ბერიაშვილი, ფხალაძე, ნარიმანიძე.

მსაჯები — უ. რეპო და ხ. ტუომინენი (ორივე — ფინეთი).

* * *

მაშ ასე, ფინალურმა შეხვედრებმა პრიზის ახალი მფლობელი გამოავლინა. ესაა იუგოსლავიის ნაკრები — წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი. იუგოსლავიელთა გუნდი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზის მართლაც ღირსეული მფლობელია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. თქვენ გახსოვთ, რა დიდი სხვაობით დაამარცხეს იუგოსლავიელებმა სსრ კავშირის ნაკრები (19:12) და საქართველოს გუნდი (29:18). აქ შეიძლება ერთგვარი შეღავათი მიეცეთ საქართველოს ხელბურთელებს, რადგან მასპინძელთა გუნდის თამაშის კლასმა ამ ბოლო წლებში შესამჩნევად იკლო და იგი ახლა იკრებს ძალას. რაც შეეხება სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებს, მას ასეთი უხეირო თამაში არ უპატიება. ამ კოლექტივის შემადგენლობაში ბევრი ნიჭიერი ხელბურთელია, მაგრამ მათგან ვერც ერთმა ვერ გამოავლინა ბრძოლის ჟინი და თამაშის ჩვეული კლასი. ტურნირის შემდეგ საკავშირო ფედერაციის წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ისინი გადამჭრელ ზომებს მიიღებენ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ნაკრებს ბევრი საპასუხისმგებლო ტურნირი და, რაც მთავარია, ოლიმპიური თამაშები ელის.

როგორც იცით, ფინალურ შეხვედრებამდე გუნდები ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილი. ფინალურმა თამაშებმა გვიჩვენა, რომ პირველ ქვეჯგუფში უფრო ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი: ეს მატჩები დამთავრდა ანგარიშით 3:1 პირველი ქვეჯგუფის წარმომადგენელთა სასარგებლოდ. პირველი ქვეჯგუფიდან ფინალური შეხვედრები მოიგეს იუგოსლავიის, გფრ-ისა და ისლანდიის გუნდებმა. II ქვეჯგუფიდან ფინალური მატჩის მოგება მხოლოდ უკრაინელებმა შეძლეს.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზის გარდა ტურნირში გათამაშდა რამდენიმე სპეციალური პრიზი, რომლებიც გუნდებსა და მოთამაშეებს გადაეცათ საგანგებო ჟიურის გადაწყვეტილებით. ჟიურის ხელმძღვანელობდა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური კომისიის წევრი, პროფესორი ი.-კ. გერმანესკუ (რუმინეთი). გაზეთ „თბილისის“ პრიზი გადაეცა ტურნირის საუკეთესო მეკარეს კ. კატერს (გფრ), გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიისა“ — შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირს ჰ.-გ. შმიდტს (გფრ). შმიდტმა ტურნირში 32 გოლი გაიტანა. საუკეთესო გარემარბისთვის გაზეთ „ეუჩერნი ტბილისის“ პრიზი მიიღო ი. ფხაკაძემ (საქართველო). თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პრაზებით დაჯილდოვდნენ ტურნირის საუკეთესო გამთამაშებელი ხ. ხორვატი (იუგოსლავია) და ხაზის საუკეთესო მოთამაშე ვ. შკარლატი (უკრაინა). საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი — „ყველაზე ეფექტური გუნდისთვის“ — საქართველოს ნაკრებს ხვდა.

ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ამ საქმეს კარგად გაართვა თავი თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა (თავმჯდომარე გ. შარაშიძე).

ჯ. ენუქიძე.

* * *

სურათებზე: ზევით — იუგოსლავიელთა კაპიტანი ხ. ხორვატი „ზარია ვოსტოკას“ პრიზით ხელში; ქვევით — საქართველოსა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების მატჩის მომენტი. ბურთს ფლობს ჯ. ცერცვაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

რიგის „სპორტული ეკრანი“

რიგა უკვე მესამე ჭალაქია, სადაც „ტაბტი დაიდგა“ სპორტული ფილმების საკავშირო ფესტივალმა. სპორტული კინოს წინა „დათვალიერებები“, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, გაიმართა მოსკოვსა და თბილისში 1966 და 1968 წლებში.

ქართველი კინოოსტატები ღირსეულად წარადგენენ ორივე ფესტივალზე. მოსკოვში ლაურეატობა მოიპოვა კინოსურათებმა: „8½ საათი ანაკოპიის უფსკრულში“, „უშბაზე ძლიერნი“, თბილისში — სამმა ნამუშევარმა: „კლდის ვეფხვი“, „გურამ საღარაძე“, „ეს რეგბია“.

ლატვიის დედაქალაქში, სადაც დღეს სტარტს იღებს სპორტული ფილმების III საკავშირო ფესტივალი, ჩვენმა რესპუბლიკამ კვლავ საინტერესო ნამუშევრები წარადგინა.

ესაა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები „ფეოლა“ (რეჟისორი ბ. წულაძე), რესპუბლიკის ტელესტუდიის გამოშვებული „ფებბურთი უბურთოდ“ (რეჟისორები გ. კანდელაკი და ლ. სიხარულიძე), აგრეთვე, სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის სპორტული კინოჟურნალები.

ვნახოთ, როგორ შეაფასებენ ამ ნამუშევრებს სპეციალისტები და მაყურებლები.

სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი

უნიკალური შემთხვევა



თბილისი. სპორტის სასახლე. 12 დეკემბერი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი)— რტი (მინსკი) 72:71 (36:39).

მსაჯები: მ. ბელიაევი, ო. რაძინსკი (ორივე — დონის როსტოვი).

დუბლიორები — 76:69 (38:34).

ჯერ ორიოდე სიტყვა დუბლიორებზე, ვინაიდან ამ მატჩის მსვლელობამ ძირითად შემადგენლობათა ბრძოლას თავისებური დაღი დასვა. მოხდა უნიკალური შემთხვევა — ჩვენს სტუმრებს მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე „ალამი ჩამოუვარდათ“.

საქმე კი ასე იყო: მინსკელთა მწვრთნელმა განაცხადში მხოლოდ 9 კალათბურთელის გვარი შეიტანა, რომელთაგან რამდენიმე პირველივე ტაიმში გამოეთიშა ბრძოლას. შესვენების შემდეგ სტუმრები ჩვეული აზარტითა და თავგამოდებით თამაშობდნენ და სრულიად არ შეუმჩნევიათ, რომ მათი რიგები სახიფათოდ მცირდებოდა. მოედანზე ჯერ ოთხი კალათბურთელი დარჩა, შემდეგ სამი, ორი და ბოლოს — ერთი. დებულების თანახმად, მატჩი შეწყდა და გამარჯვება მასპინძლებს მიეკუთვნათ.

ანალოგიური სურათი ძირითად შემადგენლობათა შესვენებაშიც რომ არ განმეორებულიყო, მწვრთნელმა თავიდანვე დაიჭირა თადარიგი. ჯარიმები ამჯერადაც უხვად იყო, მაგრამ სტუმრები ფხიზლობდნენ. მაგალითად, 3 პერსონალური შენიშვნის შემდეგ ხანმოკლე დასვენების უფლება მიიღეს ბოგომოლოვმა, რონდელმა და კრისევიჩმა. ეს ტაქტიკური მანევრიც იყო — ბრძოლის ლოგიკით ნაკარნახევი, და მან, რა თქმა უნდა, მინსკელთა ძირითად დამრტყმელ ძალას სიცოცხლე ერთგვარად გაუხანგრძლივა. ბოლოს და ბოლოს ბოგომოლოვმა და რონდელმა მაინც დატოვეს მოედანი, მაგრამ გუნდისთვის ეს ისე მოულოდნელი აღარ იყო.

სტუმრებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს პირველ ტაიმში. მათი ძირითადი კოზირი — ფარქვეშ ბრძოლის უნარი და ზუსტი სროლა, ამჯერადაც ბასრი იყო და ნაყოფიერი. „ბურევესტნიკი“ შესვენებაზე შესამჩნევად დაზარალებული წავიდა (3-3 შენიშვნა ჰქონდათ პულავსკის, ჩხიკვაძესა და ბიჭიაშვილს).

23-ე წუთზე თბილისელები დაწინაურდნენ, მაგრამ ცოტა ხნით. 3 წუთის შემდეგ ისინი კვლავ წინ გავიდნენ — უკვე 3 ქულით. ამასთან, შეტევების სიმძაფრემ და, რაც მთავარია, სიზუსტემ სასურველ დონეს მიაღწია. რტი ჩამორჩა ტემპს და ამით ინიციატივა მეტოქეს გადასცა, თუმცა ბრძოლის სიმწვავე ბოლო წუთამდე არ შენელებულა. მინსკელ კალათბურთელებს ერთხელ კიდევ მიეცათ მდგომარეობის გამოსწორების საშუალება. ეს მოხდა მატჩის დამთავრებამდე 6 წამით ადრე, როცა „ბურევესტნიკის“ უპირატესობა მხოლოდ ქულით განისაზღვრებოდა. მაგრამ, კრისევიჩმა, რომელიც ამ დღესაც თავის გუნდში საუკეთესო იყო, ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი და... მატჩიც დამთავრდა.

ამ გამარჯვებამ ჩვენს თანამემამულეთა წინაშე ოპტიმისტური პერსპექტივები დასახა, თუმცა ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ბურევესტნიკი“ მეორე წრეში მთავარ მეტოქეებს მათს მოედანზე შეხვდება.

ნ. გუგუშვილი.

ლიდერმა მდგომარეობა განიმტკიცა

სამი კვირის შემდეგ

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ლენინგრადი. გათამაშების ლიდერმა — ადგილობრივმა „სპარტაკმა“ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მოსკოვის „დინამოსთან“. ნევისპირელებმა, რომლებიც ინიციატივას ფლობდნენ ორივე ტაიმში, დამსახურებული ქულა აიღეს — 65:54.

ტარტუ. როგორც იქნა „კალევმა“ თავი დააღწია წარუმატებლობათა სერიას და სამი კვირის წინათ აღებულ ქულას მეორე დაუმატა. ესტონელებმა დიდი ანგარიშით დამარცხეს ვეფ-ი — 109:83.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	7	6	1	472—408	6
ცსკა	5	4	1	365—336	4
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	5	4	1	395—361	4
„დინამო“ (თბილისი)	5	4	1	422—397	4
„დინამო“ (მოსკოვი)	6	3	3	456—448	3
„სტროიტელი“ (კიევი)	6	3	3	396—399	3
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	6	3	3	456—473	3
„კალევი“ (ტარტუ)	6	2	4	451—440	2
ვეფ (რიგა)	6	2	4	464—499	2
ასკ (რიგა)	4	1	3	272—287	1
რტი (მინსკი)	6	1	5	382—424	1
ასკ (კიევი)	6	1	5	404—453	1

დიდოსტატობას უმიზნებს

რიგა, 14 დეკემბერი. სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე 38-ე ჩემპიონატის ფინალი ფინიშის გზას დაადგა. ახლა უფრო აშკარად გამოიკვეთა მოთამაშეთა მიზნები. ყველაზე მკაფიოდ ჩანს ახალგაზრდა ოდესელი საერთაშორისო ოსტატის ვ. ტუკმაკოვის ზრახვა: მას სსრ კავშირის დიდოსტატის წოდების მოპოვება სურს. ეს არცაა გასაკვირი. წლეულს ტუკმაკოვმა ბუენოს-აირესის დიდ საერთაშორისო ტურნირში, სადაც II ადგილი დაიკავა რ. ფიშერის შემდეგ, ბევრ სახელგანთქმულ დიდოსტატს გაუსწრო, მაგრამ მას მხოლოდ საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭეს. ახლა ტუკმაკოვი შესაშური მონდომებით იბრძვის და ლიდერობს კიდეც. XII ტურში ტუკმაკოვმა ვ. ანტოშინთან (მოსკოვის ოლქი) ეკეთეს პოზიციაში გადადო პარტია, XIII ტურში კი დაამარცხა ო. მოისეევი (მოსკოვი). ოდესელ მოჭადრაკეს 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

ტუკმაკოვს ფეხდაფეხ მისდევს ვ. კორჩნოი (ლენინგრადი). მას 8 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს ო. დემენტიევთან (ლენინგრადი) და ა. გიპსლისთან (რიგა).

ჩემპიონატის თითქმის ყოველ ტურში ნახევარი შეხვედრები დაუმთავრებელი რჩება. ამიტომ ძნელია განსაზღვრო ლიდერთა მთავარი მეტოქენი. XII ტურში ხუთი პარტია გადაიდო, XIII ტურშიც — ამდენივე.

გთავაზობთ ამ ტურების შედეგიან შეხვედრებს: **XII ტური.** ა. ავერბახი (მოსკოვი) — ი. პლატონოვი (კიევი) 1:0, ვ. მიკენასი (ვილნიუსი) — მოისეევი 1:0, ი. ბალაშოვი (მოსკოვი) — რ. ვაგანიანი (ერევანი) 1:0, მ. პოდგაეცი (ოდესა) — ი. ზაიცევი (მოსკოვი) 0,5:0,5, ვ. კარასიოვი (ლენინგრადი) — რ. ხოლმოვი (მოსკოვი) 0,5:0,5, გიპსლისი — ვ. ლიბერზონი (მოსკოვი) 0,5:0,5. **XIII ტური.** დემენტიევი — ავერბახი 1:0, ხოლმოვი — ცეიტლინი (ლენინგრადი) 1:0, ბალაშოვი—მიკენასი 1:0, პლატონოვი — ა. კარპოვი (ლენინგრადი) 0:5:0,5, ანტოშინი — ლ. შტეინი (კიევი) 0,5:0,5, ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ზაიცევი 1:0, პოდგაეცი — ვაგანიანი 0,5:0,5.

13 ტურის შემდეგ ტუკმაკოვთან და კორჩნოისთან ერთად ლიდერთა ჯგუფში არიან ბაგიროვი (8 ქულა და 1 გადადებული პარტია), პოდგაეცი (8), შტეინი (7,5 ქულა და1 გადადებული პარტია), ბალაშოვი (7,5), გიპსლისი (7 ქულა და 1 გადადებული პარტია) და ავერბახი (7).

... სპორტული

გრძელი მწვავდება

ბუენოს ვრნიაჩკა-ბანიაში (იუგოსლავია) ტელეფონით დავუკავშირდით სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონის, საერთაშორისო ოსტატის ნ. ალექსანდრიას მწვრთნელს, საერთაშორისო დიდოსტატ ბ. გურგენიძეს.

— ევროპის ქვეყნების ჭალთა II ჩემპიონატში ბრძოლა უკიდურესობამდე დაიძაბა, — გვითხრა გურგენიძემ. — ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ლიდერთა შეხვედრებში. IX ტურში საინტერესო იყო ალექსანდრიას პარტია იუგოსლავიელ ლაზარევიჩთან. რთულმა თამაშმა ბევრი დრო მოითხოვა. პირველმა ნაბიჯებმა იგრძნო მოსაფიქრებელი დროის ნაკლებობა. აჩქარებულ თამაშში მან უზუსტოდ წარმართა ბრძოლა და პარტია წააგო. მეორე დღეს, X ტურში, ნანამ „შური იძია“ ესპანელ ფერერზე და დაამარცხა იგი.

10 ტურის შემდეგ დაწინაურდა რუმინელი ალექსანდრა-ნიკოლაუ, რომელსაც 7,5 ქულა აქვს. ნანასა და მილუნკა ლაზარევიჩს 7-7 ქულა აქვთ 9 შეხვედრიდან.

ფინიშზე სათამაშო დარჩა ხუთი პარტია. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონის საკითხიც აქ უნდა გადაწყდეს.

... ინტერვიუ

... ინტერვიუ

... ინტერვიუ